კონკურსი სკოლებში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოძრაობა #არაბარბარიზმებს ატარებს კონკურსს

მოვუფრთხილდეთ მშობლიურ ენას!

კონკურსის მიზანია ახალგაზრდა თაობისთვის თანამედროვე ქართულ ენაში მიმდინარე პროცესების ახსნა, მათში სიყვარულისა და მზრუნველობის გაღვიძება მშობლიური ენისადმი.

კონკურსი ეძღვნება უნივერსიტეტის დაარსების 100 წლისთავს.

კონკურსი ჩატარდება როგორც სკოლებს, ისე მოსწავლეებს შორის.

სკოლის მოსწავლეებისათვის მოეწყობა ესეების კონკურსი თემაზე: „რატომ უნდა მოვუფრთხილდეთ მშობლიურ ენას“.

კონკურსი სკოლებს შორის კი მიზნად ისახავს წაახალისოს სკოლებში ქართული ენისადმი მიძღვნილი ღონისძიების ან ღონისძიებათა ციკლის დაგეგმვა და ჩატარება.

მოსწავლეთა საუკეთესო ესეები გამოქვეყნდება ელექტრონულად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

კომპეტენტური ჟიური გამოავლენს გამარჯვებულ სკოლებსა და მოსწავლეებს, რომლებიც დაჯილდოვდებიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის დღეს, 2018 წლის 14 აპრილს.

კონკურსის ეტაპები

I ეტაპი 2017 წლის დეკემბერი
სკოლების რეგისტრაცია კონკურსში მონაწილეობისათვის

II ეტაპი 2018 წლის იანვარი
საჯარო ლექციები კონკურსის მონაწილე მოსწავლეებისათვის

III ეტაპი 2018 წლის თებერვალი
ესეების კონკურსი. კონკურსში მონაწილე სკოლები შეარჩევენ სამ საუკეთესო ესეს კონკურსის ჟიურისთვის გადასაცემად

IV ეტაპი 2018 წლის თებერვალი, მარტი
სკოლებში ქართული ენისადმი მიძღვნილი ღონისძიების ან ღონისძიებათა ციკლის კონკურსი

V ეტაპი 2018 წლის მარტი
გამარჯვებული სკოლებისა და მოსწავლეების გამოვლენა ჟიურის მიერ

VI ეტაპი 2018 წლის 14 აპრილი
გამარჯვებული სკოლებისა და მოსწავლეების დაჯილდოება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

კონკურსში მონაწილეობისათვის გთხოვთ გამოაგზავნოთ მისამართზე konkursikartuliena@tsu.ge შემდეგი სარეგისტრაციო ინფორმაცია:

სკოლის სახელი ან ნომერი, მისამართი, საკონტაქტო პირი, მისი თანამდებობა და საკონტაქტო მონაცემები

კონკურსი ტარდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პატრონაჟით

tsu.ge

#არაბარბარიზმებს
fb.me/arabarbarizmebs

ბარბარიზმების ლექსიკონი
barbarisms.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
mes.gov.ge